ტენდერის აღწერილობა:

შპს „ვარციხე 2005 აცხადებს ტენდერს:

- ჰესი 3-ის საგენერატორო შენობაში არსებული მარჯვენა ფლიგელის დაზიანებული შიდა კიბის უჯრედის შეკეთება (ლითონკონსტრუქციების შეცვლა, საფეხურების აღდგენა);

- ჰესი 4-ის საგენერატორო შენობაში არსებული მარცხენა ფლიგელის დაზიანებული შიდა კიბის უჯრედის შეკეთება (ლითონკონსტრუქციების შეცვლა, საფეხურების აღდგენა).

მომსახურების ტექნიკური დეტალები გთხოვთ იხილოთ ტექნიკურ დავალებაში.

საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- კომპანიის რეკვიზიტები: სრული დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია, საბანკო რეკვიზიტები;
- სახელმწოფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის ასლი (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერიცული) იურიდიული პირების რეესტრიდან);
- კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია (საქმიანობის მოკლე აღწერილობა, გამოცდილება);
- ჩასატარებელი სამუშაოების აღწერა და ფასთა ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა), საქართველოში მოქმედი ყველა გადასახადის გათვალისწინებით, მათ შორის დღგ;
- ანგარიშსწორების პირობები.

შენიშვნა: სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ერთ პაკეტად, რომელშიც სამუშაო მოცულობა და ფასთა ცხრილი წარნოდგენილი უნდა იყოს თითოეული ობიექტისთვის ცალ-ცალკე.

საკონკურსო წინადადება არ მიიღება და შესაბამისად არ დაიშვება შეფასებაზე, თუ პრეტენდენტი დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი ყველა ინფორმაციას. შემოთავაზება უნდა აიტვირთოს ელექტრონული შესყიდვების ვებ-გვერდზე: www.tenders.ge

სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2023 წლის, 28 მარტი, 18:00 სთ;

წარმოდგენილ წინადადებაში, გთხოვთ, მიუთითოთ ტენდერის ნომერი და დასახელება: ***შპს „ვარციხე 2005“-ის კუთვნილ ჰესი 3-ის და ჰესი 4-ის შიდა კიბის უჯრედების შეკეთება.***

ტენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მიღება, საჭიროების შემთხვევაში ადგილზე დათვალიერება, ინფორმაციის დაზუსტება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: წყალტუბო, ს. გეგუთი 1, ორშაბათი - პარასკევი 9:00 – 18:00 სთ.

საკონტაქტო პირები:

შპს „ვარციხე 2005“-ის დირექტორის მოადგილე საერთო საკითხებში:

გურამ ფანცხავა - 577 555 431; g.pantskhava@vhpp.ge

შპს „ვარციხე 2005“-ის უფროსი ინჟინერი ინვესტიციების საკითხებში:

გიორგი ზალიკიანი - 577 555 467 ; g.zalikiani@vhpp.ge